სსრკ 50

# დაე მარად ცოცხლობდეს და ჰყვაოდეს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი, ძმური მეგობრობა!

ნელეულს ჩვენი ხალხი, მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავს ზეიმობენ. ლენინის ანდერძის ერთგული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დიდ ღონისძიებებს ახორციელებს მოძმე რესპუბლიკების ხალხთა მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებისა და გაღრმავებისთვის.

დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ ამიერკავკასიის რესპუბლიკების — საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ხალხებს. მეგობრობენ ამ რესპუბლიკების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის მოწინავენი. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან რაც შეიძლება მეტი მატერიალური და სულიერი დოვლათის შექმნაში. მეგობრობენ ამ სამი რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები, ცალკეული სპორტსმენები. ეწყობა სხვადასხვა სახეობის წარმომადგენელთა ამხანაგური მატჩები, შეხვედრები...

ამას წინათ თბილისში სტუმრად იყვნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელები. გაიმართა სამი რესპუბლიკის წარმომადგენელთა შეხვედრა, რომელზეც გადაწყდა, რომ ჩატარდეს ამიერკავკასიის მეგობრული სპორტული თამაშები. ეს შესანიშნავი ღონისძიება ხელს შეუწყობს ამიერკავკასიის ხალხთა კიდევ უფრო დამეგობრებას, ჩვენი სპორტის წინსვლას, ლენინური იდეების გამარჯვების საქმეს.

ამიერკავკასიის მეგობრული სპორტული თამაშებისადმი მიძღვნილი მასალები იხილეთ მე-2 გვერდზე.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 88 (4598)

1972 წ. 6 მაისი, შაბათი.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## გამარჯვებულნი

ახლახან საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და საქართველოს „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა შეაჯამეს „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოებისა და ფიზკულტურული კოლექტივების შარშანდელი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და ამასთან დაკავშირებით მიიღეს ერთობლივი დადგენილება.

„კოლმეურნის“ რაიონულ საბჭოებს შორის I ადგილი მოიპოვა ზუგდიდის ორგანიზაციამ (თავმჯდომარე შ. ჩანგელია), II — სამტრედიის (ჯ. ვაშაკიძე), III — მახარაძის (ც. გოგატაძე) საბჭოებმა. ზუგდიდის რაისაბჭო დაჯილდოვდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშით და საპატიო სიგელით, სამტრედიისა და მახარაძის რაისაბჭოები — ალმებითა და საპატიო სიგელებით.

**საკოლმეურნეო ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის** გამარჯვებული — კასპის რაიონის სოფელ ზემო ხანდაკის კოლექტივი (ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე ო. გოგიაშვილი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ო. გოგიბედაშვილი) დაჯილდოვდა ალმით, საპატიო სიგელით, 200 მანეთის ღირებულების სპორტული ფორმითა და ინვენტარით. II ადგილზე გასული წითელი წყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის ფიზკულტურის კოლექტივი (მ. გიგაური, ა. კობაიძე) დაჯილდოვდა ალმით, საპატიო სიგელით, 150 მანეთის ღირებულების სპორტული ფორმითა და ინვენტარით, III ადგილზე გასული ლანჩხუთის რაიონის ქვემო ჩიბათის კოლმეურნეობის ფიზკულტურის კოლექტივი (ა. პატარაია, გ. ხოფერია) — ალმით, საპატიო სიგელით, 100 მანეთის ღირებულების სპორტული ფორმითა და ინვენტარით.

**საბჭოთა მეურნეობების ფიზკულტურის კოლექტივებს შორის** I ადგილზე გასული ხელვაჩაურის რაიონის ბათუმის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურის კოლექტივი (ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე ლ. ჩხობაძე, მეურნეობის დირექტორი შ. ჩხაიძე) დაჯილდოვდა ალმით, საპატიო სიგელით, 200 მანეთის ღირებულების სპორტული ფორმითა და ინვენტარით, II ადგილზე გასული გარდაბნის რაიონის ვარკეთილის მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურის კოლექტივი (ზ. პაპიძე, ი. კაპილაძე) — ალმით, საპატიო სიგელით, 150 მანეთის ღირებულების სპორტული ფორმითა და ინვენტარით, III ადგილზე გასული ახალციხის რაიონის აწყურის მერძევეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურის კოლექტივი (ბ. ჩიქვინიძე, ნ. სარჯველაძე) — ალმით, საპატიო სიგელით, 100 მანეთის ღირებულების სპორტული ფორმითა და ინვენტარით.

**სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების ფიზკულტურის კოლექტივებს შორის** I ადგილზე გასული სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმის სპორტკლუბი „ლელო“ (კლუბის გამგეობის თავმჯდომარე, ტექნიკუმის დირექტორი პ. მიქაძე) დაჯილდოვდა ალმით, საპატიო სიგელით, 200 მანეთის ღირებულების სპორტული ფორმითა და ინვენტარით, II ადგილზე გასული ზესტაფონის რაიონის ტექნიკუმის ფიზკულტურის კოლექტივი (ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე ო. აბაშიძე, დირექტორი გ. ხუსკივაძე) — ალმით, საპატიო სიგელით, 150 მანეთის ღირებულების სპორტული ფორმითა და ინვენტარით; III ადგილზე გასული ლანჩხუთის რაიონის ტექნიკუმის ფიზკულტურის კოლექტივი (გ. ებრალიძე, შ. დოლიძე) — ალმით, საპატიო სიგელით, 100 მანეთის ღირებულების სპორტული ფორმითა და ინვენტარით.





სურათებზე: ზევით — უნგრეთის ნაკრები. მარცხნიდან: გუნდის კაპიტანი ბ. იაკფალვი, რ. მახანი, პ. სიოკე, ბ. ტაროცი, ს. ბარანიი; ქვევით — სსრ კავშირის ნაკრები. მარჯვნიდან — გუნდის კაპიტანი ს. ანდრეევი, ა. მეტრეველი, თ. ლეიუსი, ს. ლიხაჩოვი, ვ. კოროტკოვი.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

## ... იყო... 19$^{45}$

◆ ნალჩიკი, 5 მაისი. ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქის სპორტის სახლში დღეს „ხუთი ღირსების რაინდთა“ დაშნები აწკრიალდა: დაიწყო სსრ კავშირის თასის გათამაშება თანამედროვე ხუთჭიდში. ამ საპატიო პრიზს 8 გუნდის 48 სპორტსმენი ეცილება ერთმანეთს. ეს რვა გუნდი (სომხეთი, ლატვია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი, უკრაინა, რსფსრ, მოსკოვი) საუკეთესო იყო სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ვ. კრიაჟევი და ვ. სვატენკო, სპარტაკიადის ჩემპიონი ვ. შმელიოვი, მეხიკოს ოლიმპიადის პრიზიორი პ. ლედნიოვი, მსოფლიო ჩემპიონი იუნიორთა შორის ბ. მოსოლოვი და სხვ. ნალჩიკელებს გული დასწყვიტა იმან, რომ მათი თანაქალაქელი ვ. სილიახინი, რომელმაც თასის პირველ გათამაშებაში გაიმარჯვა (ტურნირი ასევე ყაბარდო-ბალყარეთში ჩატარდა ორი წლის წინათ), ახალ პაექრობაში მონაწილეობას ვერ მიიღებს — ამჟამად იგი უცხოეთში ასპარეზობს.

## დევისის თასზე

### პირველი წრე

### სსრ კავშირი — უნგრეთი

დღე პირველი

ვ. კოროტკოვი — პ. სიოკე

ა. მეტრეველი — ს. ბარანიი

უკვე მეათე წელია, რაც სსრ კავშირის ჩოგბურთელები დევისის თასის გათამაშებაში მონაწილეობენ. საბჭოთა სპორტსმენებმა ამ 10 წლის მანძილზე თასის გათამაშების პროგრამით, ანუ მსოფლიოს ვაჟთა არაოფიციალურ გუნდურ ჩემპიონატებში 26 მატჩი გამართეს და მათგან 17 მოიგეს. სსრ კავშირის ჩოგბურთელები შვიდჯერ იყვნენ მასპინძლების როლში და შვიდჯერვე გაიმარჯვეს. ამ შვიდი მატჩიდან ერთი თბილისში გაიმართა (საბერძნეთის ნაკრებთან).

და აი, თბილისი მეორედ მასპინძლობს დევისის თასის გათამაშების მონაწილეებს. ამჯერად ჩვენი დედაქალაქის სტუმრები არიან უნგრელები, რომელთაც წლევანდელი გათამაშების ევროპულ „ა“ ზონაში პირველი წრის მატჩის გამართვა საბჭოთა ჩოგბურთელებთან მოუწიათ.

გუშინ „დინამოს“ ცენტრალურ კორტზე პირველად გამოვიდნენ სსრ კავშირის ნაკრების წევრი, მოსკოველი ვ. კოროტკოვი და უნგრელი პ. სიოკე. გაიმარჯვა სიოკემ — 4:6, 6:4, 6:2, 6:1. მეტრეველისა და ბარანიის შეხვედრა დაბინდების გამო გადაიდო. ჯერჯერობით ანგარიშია 1:1 (6:3, 2:6, მესამე პარტიაში დაწინაურდა მეტრეველი — 4:3).

## ხალიჩამ კვლავ უხმო

ულიანოვსკი, 4 მაისი. დღეს აქ აღიმართა სსრ კავშირის ჩემპიონატის ალამი კლასიკურ ჭიდაობაში. შეჯიბრების გახსნის საზეიმო ცერემონიალი მოეწყო ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, სადაც სპორტსმენებმა ლენინის ძეგლი ყვავილებით შეამკეს.

ტურნირი ი. ნ. ულიანოვის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დიდ სპორტულ დარბაზში ტარდება. უკვე პირველმა ორთაბრძოლებმა დაგვანახვა, რომ იოლ გამარჯვებებზე ფიქრიც კი ზედმეტია. მაგალითად, მოსკოველმა არმიელმა გ. ნეცვეტაევმა სათანადოდ არ შეაფასა თავისი მეტოქის, ხემიპალატინსკელი ჟ. უმკემპიროვის ძალა და დაისაჯა კიდეც: წმინდად წააგო ჭიდილი. იგივე მოხდა მძიმე წონის მოჭიდავეთა შეხვედრაში: ახალგაზრდა სპორტსმენმა ი. ბელოლიპეცკიმ (კემეროვოს ოლქი) აშკარა უპირატესობით სძლია მსოფლიოსა და ევროპის ექს-ჩემპიონს, ალმაათელ ვ. ბაკულინს. ახლა ამ ცნობილ ათლეტს დიდი ჯაფა დასჭირდება ფინალში გასასვლელად.

ქვემსუბუქ წონაში თავი გამოიჩინა ჭაბუკთა შორის შარშანდელმა მსოფლიო ჩემპიონმა ო. დავიდიანმა (გროზნო). ბაქოელ რ. ეივაზოვთან ჭიდილში მან დაამტკიცა, რომ „უფროსი“ სპორტსმენების ძლევაც შეუძლია, თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ ქულებით.

პირველი დღის შეხვედრებიდან ყველაზე ხანმოკლე აღმოჩნდა მსოფლიო ჩემპიონ გ. რეზანცევის (ალმაათა) ჭიდილი ტალინელ კ. პლომთან (მეორე საშუალო წონა): ჩემპიონს მეტოქის დასამარცხებლად სულ 2 წუთი დასჭირდა.

ჩემპიონატი 8 მაისამდე გასტანს.

## [illegible]-72

● რომი, 4 მაისი. მძლეოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში წარმატებით იასპარეზა ქალთა შორის ბადროს ტყორცნაში მსოფლიო რეკორდსმენმა, ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონმა, ერევნელმა ფ. მელნიკმა, რომელმაც I ადგილი დაიკავა — 60,66 მ. პირველობა მოიპოვა მეორე საბჭოთა მძლეოსანმაც — ლენინგრადელმა ე. კორაბლიოვამ. მან ბირთვი 18,69 მეტრზე ჰკრა.

● ბერგამო (იტალია), 4 მაისი. აქ გაიმართა მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც რამდენიმე საბჭოთა სპორტსმენიც გამოდიოდა. სიმაღლეზე ხტომაში ევროპის ჩემპიონმა, ვილნიუსელმა კ. შაპკამ 212 სმ სიმაღლე დაძლია და გაიმარჯვა.

● კარლ-მარქს-შტადტი, 4 მაისი. საერთაშორისო მარათონულ რბენაში წარმატება წილად ხვდა მასპინძელთა გუნდის წევრს ე. ლესეს — 2:13.19,4. საბჭოთა მარათონელმა, კრივოიროგელმა ი. ვოლკოვმა V ადგილი დაიკავა — 2:16.48,2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტების

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## ამიერკავკასიის მეგობრული სპორტული თამაშების ჩატარების შესახებ

საბჭოთა ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საკითხზე სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილების, აგრეთვე, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავის ზეიმით აღნიშვნის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად, ქართველ, აზერბაიჯანელ და სომეხ, აგრეთვე, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ხალხებს შორის მეგობრობის შემდგომი განმტკიცების მიზნით, სპორტული ოსტატობის შემდგომი ზრდისთვის (განსაკუთრებით ახალგაზრდობას შორის) საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტებმა გადაწყვიტეს ჩაატარონ ამიერკავკასიის მეგობრული სპორტული თამაშები.

კომიტეტებმა დაადგინეს:

1. ამიერკავკასიის მეგობრული სპორტული თამაშები ყოველწლიურად ჩატარდეს სამივე მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქებში — თბილისში, ბაქოსა და ერევანში. ასპარეზობაზე მოწვეული იქნებიან სხვა მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის ცალკეული გუნდები;

2. ამიერკავკასიის თითოეულმა რესპუბლიკამ დააწესოს სამახსოვრო მედლები მეგობრული სპორტული თამაშების მონაწილეებისთვის;

3. წლეულს შეჯიბრება ჩატარდეს სპორტის 30 სახეობაში, ხოლო მომავალი თამაშებისთვის პროგრამა თანდათან გაფართოვდეს;

4. გამოცდილების ურთიერთგაზიარებისთვის მიზანშეწონილად ჩაითვალოს ამიერკავკასიის თამაშების დაწყებამდე სპორტის სახეობათა მიხედვით ერთობლივი სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების ჩატარება;

5. დამტკიცდეს სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ამიერკავკასიის I მეგობრული სპორტული თამაშების დებულება;

6. დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლი შესაბამისი კომიტეტების სპორტულ განყოფილებებსა და სამმართველოებს დაევალოთ.

**გ. სიხარულიძე,**
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

**ხ. მამედოვი,**
აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

**ლ. კალაშიანი,**
სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

14 აპრილი, 1972 წელი.

---

# ЗАГАФГАЗИЈА ДОСТЛУГ ИДМАН ОЈУНЛАРЫ КЕЧИРИЛМӘСИ ҺАГГЫНДА

## Күрчүстан, Азәрбајчан вә Ермәнистан ССР Назирләр Советләри јанында бәдән тәрбијәси вә идман комитәләринин

# Г Ә Р А Р Ы

Бәдән тәрбијәси вә идманы даһа да инкишаф етдирмәк ишиндә Совет Иттифагы Коммунист Партијасы XXIV гурултајынын гәрарына вә Совет Социалист Республикалары Иттифагынын тәшкил едилмәсинин 50 иллијини бајрам етмәк һаггында Сов.ИКП МК-нын гәрарына мүвафиг олараг вә мүттәфиг республикаларын халглары арасында достлуғу даһа да мөһкәмләндирмәк, һәмчинин идман усталығыны, илк нөвбәдә кәнчләрин идман усталығыны јүксәлтмәк мәгсәдилә

КОМИТӘЛӘР ГӘРАРА АЛЫРЛАР:

1. Загафгазијанын үч республикасынын пајтахтларында — Тбилисидә, Бакыда, Јереванда дикәр мүттәфиг республикалардан, Москва вә Ленинград шәһәрләриндән идманын нөвләри үзрә ајры-ајры командалары дә'вәт етмәк шәрти илә һәр ил Загафгазија достлуг идман ојунлары кечирилсин.

2. Загафгазијанын һәр бир республикасындан достлуг идман ојунларынын иштиракчысы үчүн хатирә медалы тә'сис едилсин.

3. 1972-чи илдә идманын 30 нөвү үзрә јарыш тәшкил едилсин вә кәләчәкдә ојунларда програм кенишләндирилсин.

4. Тәчрүбә мүбадиләси мәгсәдилә Загафгазија ојунларындан әввәл идманын нөвләри үзрә биркә тә'лим-мәшг кечирилмәси мәгсәдәујғун һесаб едилсин.

5. ССРИ-нин тәшкил едилмәсинин 50 иллијинә һәср едилмиш I Загафгазија достлуг идман ојунларына даир әсаснамә тәсдиг едилсин.

6. Бу гәрарын јеринә јетирилмәсинин кедишинә нәзарәт мүвафиг комитәләрин идман шө'бәләри вә идарәләринә тапшырылсын.

Күрчүстан ССР Назирләр Совети јанында бәдән тәрбијәси вә идман комитәсинин сәдри
**Г. В. СИХАРУЛИДЗЕ**

Азәрбајчан ССР Назирләр Совети јанында бәдән тәрбијәси вә идман комитәсинин сәдри
**Х. М. МӘММӘДОВ**

Ермәнистан ССР Назирләр Совети јанында бәдән тәрбијәси вә идман комитәсинин сәдри
**Л. Х. КАЛАШЈАН**

14 апрел 1972-чи ил.

---

# ԱՆԴՐԿՈՎԿԱՍՅԱՆ ԲԱՐԵԿԱՄԱԿԱՆ ՄԱՐԶԱԽԱՂԵՐ ԱՆՑԿԱՑՆԵԼՈՒ ՄԱՍԻՆ

## ՎՐԱՑԱԿԱՆ, ԱԴՐԲԵՋԱՆԱԿԱՆ ԵՎ ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ-ՆԵՐԻ ՄԻՆԻՍՏՐՆԵՐԻ ՍՈՎԵՏՆԵՐԻՆ ԱՌԸՆԹԵՐ ՖԻԶԻԿԱԿԱՆ ԿՈՒԼՏՈՒՐԱՅԻ ԵՎ ՍՊՈՐՏԻ ԿՈՄԻՏԵՆԵՐԻ ՀԱՄԱՏԵՂ

# Ո Ր Ո Շ Ո Ւ Մ Ը

*Ելնելով ֆիզիկական կուլտուրայի և սպորտի հետագա զարգացման մասին ՍՄԿԿ XXIV համագումարի և Սովետական Սոցիալիստական Հանրապետությունների Միության կազմավորման փառապանծ 50-ամյակի տոնակատարությունների մասին ՍՄԿԿ ԿԿ-ի որոշումներից, վրաց, ադրբեջանական, հայ և Սովետական Միության մյուս ժողովուրդների միջև բարեկամության հետագա ամրապնդման, ինչպես նաև մարզական վարպետությունը՝ հատկապես երիտասարդության շրջանում, բարձրացնելու նպատակով կոմիտեները*

**ՈՐՈՇՈՒՄ ԵՆ.**

*1. Ամեն տարի Թբիլիսիում, Բաքվում և Երևանում անցկացնել անդրկովկասյան բարեկամական մարզախաղեր՝ մյուս հանրապետությունների, Մոսկվա և Լենինգրադ քաղաքների առանձին թիմերի մասնակցությամբ։*

*2. Անդրկովկասյան յուրաքանչյուր հանրապետության կողմից բարեկամական մարզախաղերի մասնակիցների համար սահմանել հուշամեդալներ։*

*3. 1972 թ. մրցումներ կազմակերպել 30 մարզաձևից՝ հետագայում ընդլայնել մարզախաղերի ծրագիրը։*

*4. Անդրկովկասյան մարզախաղերից առաջ փորձի փոխանակման նպատակով առանձին մարզաձևերից ուսումնամարզական համատեղ հավաքներ անցկացնելը համարել նպատակահարմար։*

*5. Հաստատել ՍՍՀՄ կազմավորման 50-ամյակին նվիրված անդրկովկասյան բարեկամական առաջին մարզախաղերի կանոնադրությունը։*

*6. Սույն որոշման կատարման ընթացքը վերահսկելու պարտականությունը դրվում է սպորտ բաժինների ու համապատասխան կոմիտեների վարչությունների վրա։*

Վրացական ՍՍՀ մինիստրների սովետին առընթեր ֆիզիկական կուլտուրայի և սպորտի կոմիտեի նախագահ՝
**Գ. Վ. ՍԻԽԱՐՈՒԼԻՁԵ**

Ադրբեջանական ՍՍՀ մինիստրների սովետին առընթեր ֆիզիկական կուլտուրայի և սպորտի կոմիտեի նախագահ՝
**Խ. Մ. ՄԱՄԵԴՈՎ**

Հայկական ՍՍՀ մինիստրների սովետին առընթեր ֆիզիկական կուլտուրայի և սպորտի կոմիտեի նախագահ՝
**Լ. Խ. ՔԱԼԱՇՅԱՆ**

*14 ապրիլ, 1972 թվական։*

---

# ПОСТАНОВЛЕНИЕ

## комитетов по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской, Азербайджанской и Армянской ССР

# О ПРОВЕДЕНИИ ЗАКАВКАЗСКИХ ДРУЖЕСКИХ СПОРТИВНЫХ ИГР

В соответствии с решением XXIV съезда Коммунистической партии Советского Союза о дальнейшем развитии физической культуры и спорта и постановлением ЦК КПСС о праздновании 50-летия образования Союза Советских Социалистических Республик и с целью дальнейшего укрепления дружбы между народами союзных республик, а также повышения спортивного мастерства, в первую очередь среди молодежи,

комитеты постановляют:

1. Проводить ежегодно Закавказские дружеские спортивные игры в столицах трех Закавказских республик — Тбилиси, Баку, Ереване с приглашением отдельных команд по видам спорта других союзных республик и г. г. Москвы и Ленинграда.

2. Учредить памятную медаль участника дружеских спортивных игр от каждой закавказской республики.

3. В 1972 году организовать соревнование по 30 видам спорта с последующим расширением программы на будущих играх.

4. С целью обмена опытом считать целесообразным перед Закавказскими играми проводить совместные учебно-тренировочные сборы по видам спорта.

5. Положение о I Закавказских дружеских спортивных играх, посвященных 50-летию образования СССР, утвердить.

6. Контроль за ходом выполнения постановления поручить спортивным отделам и управлениям соответствующих комитетов.

**Г. СИХАРУЛИДЗЕ,**
ПРЕДСЕДАТЕЛЬ КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР.

**Х. МАМЕДОВ,**
ПРЕДСЕДАТЕЛЬ КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ АЗЕРБАЙДЖАНСКОЙ ССР.

**Л. КАЛАШЯН,**
ПРЕДСЕДАТЕЛЬ КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ АРМЯНСКОЙ ССР.

14 апреля 1972 г.



## სპორტული კალეიდოსკოპი

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

● „ვარკეთილი“ (გარდაბანი) — „კოლხეთი“ (ხობი) 0:1. მსაჯი ლ. ლონდაძე (თბილისი).

● „დინამო“ (ზუგდიდი) — „კახეთი“ (თელავი) 0:0. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

არასპორტული საქციელისთვის გაფრთხილება მიეცა თელაველ ვ. კობახიძეს.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 3:3. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

მიუხედავად იმისა, რომ სტუმრებმა უკვე მე-5 წუთზე მიიღეს ბურთი თავიანთ კარში (სანოძე), მათ მთლიანად ხელთ იგდეს უპირატესობა და ტაიმი დაამთავრეს თავიანთ სასარგებლოდ — 3:1. ბურთები გაიტანეს დანელიამ, გ. და ჯ. ოდიშარიებმა. შესვენების შემდეგ ბრძოლის სურათი მთლიანად შეიცვალა. სტუდენტებმა თამაშის განახლებისას დაკარგეს ბურთის გატანის ნაღდი შესაძლებლობა (ჩორგოლაშვილმა ვერ გამოიყენა პენალტი), მერე ქილიფთარმა შეამცირა განსხვავება ანგარიშში, დაბოლოს, ჩორგოლაშვილმა თავისი შეცდომა გამოასწორა.

● „ეგრისი“ (ცხაკაია) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:2. მსაჯი ა. აბულაშვილი (თბილისი).

● „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სინათლე“ (თბილისი) 1:2. მსაჯი გ. გუჯაბიძე (ფოთი).

● „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 0:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

მატჩი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ტყიბულელი თოდიძის დარტყმამ მიზანს მიაღწია.

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებულია „მეშახტის“ მოთამაშე კ. ჯიშკარიანი.

● „ივერია“ (ხაშური) — „განთიადი“ (ბორჯომი) 1:0. მსაჯი ა. კვერნაძე (თბილისი).

ხაშურელები მთელი თამაშის განმავლობაში უტევდნენ მეტოქეს, მაგრამ კარგა ხანს ვერ შეძლეს ანგარიშის გახსნა „განთიადის“ მეკარე გელაშვილის საუკეთესო თამაშის გამო. მაინც, ულუმბელაშვილის ზუსტმა დარტყმამ მე-60 წუთზე მიზანს მიაღწია.

● „გიგანტი“ (ლაითური) — „ფეიქარი“ (წულუკიძე) 0:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).

● „სულორი“ (ვანი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 1:0. მსაჯი ჯ. ჯიშიაშვილი (ტყიბული).

● „ისანი“ (თბილისი) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 1:0. მსაჯი გ. დოლენჯაშვილი (თბილისი).

### II ჯგუფი

#### I ზონა

„კოლმეურნე“ (ტიბაანი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 4:0, „შევარდენი“ (თბილისი) — „ისანი“ (თბილისი) 2:2, „არაგვი“ (დუშეთი) — „შირაქი“ (წითელი წყარო) 0:0, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „მევენახე“ (ვაზისუბანი) 2:2, „ცისკარი“ (სიღნაღი) — „ვაზი“ (შრომა, გურჯაანი) 1:0, „ავტომობილისტი“ (ცხინვალი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 1:0, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „ვარძია“ (ასპინძა) 1:0.

#### II ზონა

„სამგურალი“ (წყალტუბო) — ხეტყის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) 2:2, „დინამო“ (ქუთაისი) — „კომეტა“ (ფოთი) 1:1, „იმერეთი“ (თერჯოლა) — „განთიადი“ (აბაშა) 1:0, „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „დიოსკურია“ (სოხუმი) 2:1, „სქური“ (წალენჯიხა) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 0:5, „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) 1:0, „სალხინო“ (მაიაკოვსკი) — „განახლება“ (ადიგენი) 2:4. გალის „მშიურს“ მოგება მიეკუთვნა წულეჩაურის „კახაბერთან“.

## სსრ კავშირის პირველობა

II ლიგა III ზონა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ყუბანი“ (კრასნოდარი) | 3 | 3 | 0 | 0 | 9—0 | 6 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 3 | 3 | 0 | 0 | 5—1 | 6 |
| „მეტალურგი“ (ლიპეცკი) | 3 | 2 | 1 | 0 | 4—0 | 5 |
| „დრუჟბა“ (მაიკოპი) | 3 | 2 | 1 | 0 | 4—0 | 5 |
| „ტრუდი“ (ვორონეჟი) | 3 | 1 | 2 | 0 | 2—1 | 4 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 2 | 1 | 1 | 0 | 5—2 | 3 |
| „სალუტი“ (ბელგოროდი) | 3 | 1 | 1 | 1 | 3—3 | 3 |
| „დინამო“ (სოხუმი) | 3 | 1 | 1 | 1 | 2—3 | 3 |
| „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) | 3 | 1 | 1 | 1 | 2—4 | 3 |
| „ზვეზდა“ (ტირასპოლი) | 2 | 1 | 0 | 1 | 1—1 | 2 |
| „დილა“ (გორი) | 3 | 0 | 2 | 1 | 2—3 | 2 |
| „დინამო“ (ბრიანსკი) | 2 | 1 | 0 | 1 | 1—2 | 2 |
| „მაშინოსტროიტელი“ (პოდოლ.) | 2 | 1 | 0 | 1 | 1—3 | 2 |
| „კოლხეთი“ (ფოთი) | 3 | 0 | 2 | 1 | 1—4 | 2 |
| „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) | 3 | 0 | 1 | 2 | 2—4 | 1 |
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 2 | 0 | 1 | 1 | 0—2 | 1 |
| „სპარტაკი“ (ორიოლი) | 3 | 0 | 1 | 2 | 0—2 | 1 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 3 | 0 | 1 | 2 | 2—5 | 1 |
| „შრომითი რეზერვები“ (კურსკი) | 3 | 0 | 0 | 3 | 0—6 | 0 |

## გათამაშების ცხრილი

### I ჯგუფი

მდგომარეობა 6 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 11 | 7 | 2 | 2 | 16—12 | 16 |
| „დინამო“ (ზუგდიდი) | 11 | 5 | 4 | 2 | 12—7 | 14 |
| „სულორი“ (ვანი) | 11 | 5 | 3 | 3 | 13—6 | 13 |
| „სინათლე“ (თბილისი) | 10 | 5 | 3 | 2 | 13—7 | 13 |
| „კახეთი“ (თელავი) | 11 | 5 | 3 | 3 | 15—12 | 13 |
| „შუქურა“ (ქობულეთი) | 11 | 5 | 3 | 3 | 13—11 | 13 |
| „სალხინო“ (გეგეჭკორი) | 11 | 4 | 5 | 2 | 14—13 | 13 |
| „მეშახტე“ (ტყიბული) | 10 | 5 | 2 | 3 | 16—11 | 12 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 11 | 4 | 4 | 3 | 13—9 | 12 |
| ასკ (თბილისი) | 10 | 4 | 3 | 3 | 12—8 | 11 |
| „კოლხეთი“ (ხობი) | 11 | 4 | 3 | 4 | 8—7 | 11 |
| „სამცხე“ (აწყური) | 10 | 4 | 3 | 3 | 13—13 | 11 |
| „გიგანტი“ (ლაითური) | 11 | 3 | 5 | 3 | 5—6 | 11 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 11 | 3 | 4 | 4 | 18—14 | 10 |
| „ვარკეთილი“ (გარდაბანი) | 11 | 4 | 2 | 5 | 10—10 | 10 |
| „ქართლი“ (გორის რაიონი) | 11 | 4 | 1 | 6 | 18—17 | 9 |
| „ისანი“ (თბილისი) | 11 | 4 | 1 | 6 | 10—10 | 9 |
| „ივერია“ (ხაშური) | 11 | 3 | 3 | 5 | 11—20 | 9 |
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 11 | 3 | 2 | 6 | 9—17 | 8 |
| „განთიადი“ (ბორჯომი) | 11 | 1 | 5 | 5 | 7—12 | 7 |
| „ეგრისი“ (ცხაკაია) | 11 | 2 | 3 | 6 | 10—19 | 7 |
| „ფეიქარი“ (წულუკიძე) | 11 | 1 | 4 | 6 | 4—19 | 6 |

# მოზარდთა პირველობა

გრძელდება საქართველოს ჩემპიონატი მოზარდ ფეხბურთელთა შორის. მოგვყავს განვლილ შეხვედრათა შედეგები:

„კოლხეთი“ (ფოთი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 0:1, განათლების განყოფილება (თბილისი) — „დინამო“ (სოხუმი) 5:2, ახალგ. საფეხბ. სკოლა (თელავი)—ახალგ. საფეხბ. სკოლა (თბილისი) 0:2, ახალგ. საფეხბ. სკოლა (გაგრა) — „დინამო“ (თბილისი) 0:2, „გურია“ (ლანჩხუთი) — „დინამო“ (ბათუმი) 0:2, „განთიადი“ (თბილისი) — „დილა“ (გორი) 1:0, მწვრთნელთა სკოლა (თბილისი)— „მეტალურგი“ (რუსთავი) 1:1, „სპორტინტერნატი“ (თბილისი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 1:0.

ბათუმი — „მეტალურგი“ 1:0, „დინამო“ (თბილისი) — „მერცხალი“ 3:1, ახალგ. საფეხბ. სკოლა (თბილისი) — „სპორტინტერნატი“ 6:0, სოხუმი — მწვრთნელთა სკოლა 4:2, „ტორპედო“ — „განთიადი“ 3:1, „კოლხეთი“ — გაგრა 3:0, განათლების განყოფილება — თელავი 3:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| გან. განყ. (თბილისი) | 12 | 8 | 3 | 1 | 36—5 | 19 |
| ახ. საფ. სკ. (თბილისი) | 12 | 8 | 3 | 1 | 27—7 | 19 |
| „განთიადი“ | 12 | 8 | 3 | 1 | 21—7 | 19 |
| „დინ.“ (სოხ.) | 12 | 9 | 1 | 2 | 26—6 | 19 |
| „დინ.“ (ბათ.) | 12 | 5 | 6 | 1 | 12—5 | 16 |
| „სპორტინტ.“ | 13 | 6 | 4 | 3 | 15—15 | 16 |
| „ტორპედო“ | 11 | 6 | 3 | 2 | 19—9 | 15 |
| „დინ.“ (თბ.) | 12 | 6 | 2 | 4 | 16—10 | 14 |
| „მეტალურგი“ | 13 | 4 | 5 | 4 | 16—15 | 13 |
| „ავაზა“ | 12 | 4 | 3 | 5 | 13—25 | 11 |
| ახ. საფ. სკ. (გაგრა) | 12 | 4 | 0 | 8 | 9—17 | 8 |
| „დილა“ | 11 | 2 | 4 | 5 | 9—18 | 8 |
| მწვრთნელთა სკოლა | 11 | 2 | 4 | 5 | 9—23 | 8 |
| „მერცხალი“ | 12 | 2 | 3 | 7 | 11—23 | 7 |
| ახ. საფ. სკ. (თელავი) | 13 | 0 | 6 | 7 | 9—23 | 6 |
| „გურია“ | 12 | 1 | 1 | 10 | 6—19 | 3 |
| „კოლხეთი“ | 11 | 1 | 1 | 9 | 4—21 | 3 |

# მ. ა. გორგაძე



საქართველოს ფიზკულტურულმა მოძრაობამ დიდი დანაკლისი განიცადა: ქართველ პედაგოგთა და მეცნიერთა რიგებს გამოაკლდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზკულტურის ისტორიისა და ორგანიზაციის კათედრის პროფესორი, საქართველოში ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ერთ-ერთი პირველი ენთუზიასტი მიხეილ ანთიმოზის ძე გორგაძე.

მ. გორგაძე დაიბადა 1896 წელს ქუთაისში. პედაგოგის ოჯახში აღზრდილმა ახალგაზრდამ არ უღალატა ოჯახურ ტრადიციას და უმაღლესი ისტორიული განათლების მიღების შემდეგ ამ ძნელ და საპატიო მოვალეობას შეუდგა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი ქუთაისის ფიზკულტურის საბჭოს პასუხისმგებელი მდივანია, ერთდროულად ხელმძღვანელობს ფიზიკური აღზრდის საქმეს დასავლეთ საქართველოს სკოლებში, მონაწილეობს პიონერული ორგანიზაციების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში. 1925 წლიდან საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით მ. გორგაძე გადმოჰყავთ პიონერთა ცენტრალურ ბიუროში ფიზიკური აღზრდის ინსპექტორად. პარალელურად მუშაობს განათლების სახალხო კომისარიატში.

მ. გორგაძე სამართლიანად ითვლება საქართველოში ფიზკულტურული კადრების მომზადების ერთ-ერთ პიონერად. 1926 წელს იგი ხელმძღვანელობს თბილისის პირველ პედაგოგიურ ტექნიკუმთან დაარსებულ ფიზკულტურის განყოფილებას, 1931 წელს ინიშნება ბაქოში ამიერკავკასიის ფიზკულტურის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სასწავლო-სამეცნიერო დარგში, 1933 წელს თბილისში აარსებს და თვითვე ხელმძღვანელობს ფიზკულტურის ტექნიკუმს, 1936 წლიდან თბილისის უნივერსიტეტთან არსებული ფიზკულტურის ფაკულტეტის დეკანის მოადგილეა, 1939 წლიდან 1969 წლამდე კი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზკულტურის ისტორიისა და ორგანიზაციის კათედრის გამგე.

მ. გორგაძემ დიდი წვლილი შეიტანა ფიზიკური აღზრდის მეცნიერების შემდგომ განვითარებაში. 1945-1955 წლებში იგი ასრულებდა ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის მოვალეობას, იყო ფიზკულტურის ინსტიტუტის პრორექტორი სამეცნიერო დარგში. გორგაძის კალამს ეკუთვნის ბევრი სახელმძღვანელო და მეცნიერული ნაშრომი. საკმარისია ითქვას, რომ 1940 წელს გამოსული მისი წიგნი „ფიზიკური კულტურის ისტორია“ საბჭოთა კავშირში პირველი სახელმძღვანელოა ამ დარგში. 1963 წელს მ. გორგაძეს პროფესორის წოდება ენიჭება.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, პროფ. მ. გორგაძე ასრულებდა დიდ და სასარგებლო საზოგადოებრივ საქმიანობას. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ მის მიერ საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის მუზეუმის შექმნა და უანგარო ხელმძღვანელობა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

უმწიკვლო სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის მ. გორგაძე დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებით და სხვადასხვა მედლით.

ქართველი მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდისთვის თავგადადებული მოღვაწის, შესანიშნავი პედაგოგისა და მეცნიერის მ. გორგაძის ხსოვნას სამარადისოდ შეინახავენ საქართველოს ფიზკულტურული მოძრაობის მილიონიანი არმიის წარმომადგენლები.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი.**

**საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი.**

# იმედად გულისა

საგანს, რომლის სწავლებასაც იგი გულმართლად ემსახურებოდა მთელი ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე, ფიზიკური კულტურის ისტორია ჰქვია. ობივატელისთვის ეს საგანი ალბათ საინტერესო და თვალსასეირო სპორტული ეპიზოდების გადმოცემაა, მაგრამ, ვინც ერთხელ მაინც დასწრებია პროფესორ მიხეილ გორგაძის ლექციას, სულ სხვა შთაბეჭდილებებით მოხიბლული გამოდიოდა აუდიტორიიდან...

აი, კათედრაზე შემომდგარმა თმაჭაღარა ლექტორმა ხმადაბლა, მაგრამ ყველას გასაგონად წარმოთქვა ქართველთათვის ბევრისმთქმელი სამი გეოგრაფიული სახელი — დიდგორი, ბასიანი, შამქორი. ლაკონურად დახურათდა აქ მოპოვებული დიდი გამარჯვებები, მათი მსოფლიო რეზონანსი და ბოლოს, როცა ამ გამარჯვებათა მიზეზებიც ჩამოთვალა, ლექტორმა ვრცლად წარმოადგინა ერთ-ერთი მათგანი — ქართველთა საუკეთესო ფიზიკური მომზადება, რასაც იძლეოდა გეგმაზომიერი მეცადინეობა საუკუნეების მანძილზე შემუშავებული ფიზიკური აღზრდის სისტემის მიხედვით. და ბოლოს, სტუდენტების კონსპექტებში ჩნდება ცხენოსნობის, ჩოგანბურთის, მშვილდოსნობის, ფარიკაობის, მუშაითობის, ნადირობის, ქართული ჭიდაობის, ლელობურთისა და სპორტის სხვა ეროვნული სახეობების დახასიათება.

დიახ, იმ დღეს პროფესორის ლექცია იყო არა ობივატელთათვის ჰაზრის... მოკლე შინაარსი — არამედ მეცნიერული განსჯა ფიზიკური აღზრდის ქართული სისტემისა, რომელიც თურმე ერთ-ერთი პროგრესული და მოწინავე იყო მაშინდელ მსოფლიოში. და უკვე თვით სტუდენტებსაც აღარ უკვირთ, რომ მათ მიიღეს არა მარტო საჭირო ცოდნა, არამედ კიდევ რაღაც მეტი, რაღაც ძვირფასი, რომელსაც ჩვეულებრივ ეროვნული სიამაყის გრძნობას უწოდებენ.

- ანდა როგორ შეეძლო სტუდენტს გულგრილად ესმინა ცხოვრების ავკარგგამოვლილი პროფესორის საუბარი საბჭოთა სპორტსმენების საერთაშორისო შეხვედრებზე, როდესაც იგი მოხდენილად, ხაზგასმით აღნიშნავდა ჩვენი სპორტსმენების მაღალ ადამიანურ თვისებებს, რაც ესოდენ ხიბლავდა უცხოელ მაყურებელს და ძალაუნებურად ქებას აღავლენინებდა საბჭოთა ქვეყნის მიმართ. ასეთი ლექციები უბრალოდ მარტო ფაქტებს კი არ აღწერდა, არამედ, პირველ ყოვლისა, ითვალისწინებდა აუდიტორიაში მყოფი ახალგაზრდობის ნამდვილ მოქალაქეებად აღზრდას.

პროფესორ მიხეილ გორგაძის აღზრდილებს ხშირად მოუსმენიათ თავიანთი მასწავლებლის ნათქვამი, რომ ფიზიკური კულტურის ისტორია სტუდენტთა პატრიოტული აღზრდის საუკეთესო შესაძლებლობებს იძლევა, და პირველ ყოვლისა თვით იგი ახორციელებდა ამ ჭეშმარიტებას საკუთარ საალმზრდელო პრაქტიკაში. თემას „ფიზიკური კულტურა სსრ კავშირში დიდი სამამულო ომის პერიოდში“ მიხეილ გორგაძე სწორედ მაისის მეორე კვირისთვის გეგმავდა ხოლმე, რათა გამარჯვების დღესასწაულის საერთო ატმოსფეროს ფონზე მოეთხრო სტუდენტებისთვის საბჭოთა სპორტსმენების მიერ ფრონტზე ჩადენილი გმირობის შესახებ, მოეთხრო ჩვენს მთამსვლელებზე, რომელთა რაზმებმაც წითელ არმიასთან ერთად გზა გადაუღობეს ფაშისტებს კავკასიონთან, მოეთხრო ფრონტზე დაცემულ ქართველ სპორტსმენებზე. ლექციის ბოლოს სტუდენტთა ანთებული თვალები უკვე აშკარად მოწმობდა, რომ ისინიც მზად იყვნენ საჭიროების შემთხვევაში ფიზიკური ვარჯიშობით შეძენილი ძალა და ენერგია სამშობლოს სამსხვერპლოზე მიეტანათ.

აღნიშნულ თემაზე ლექცია მას სწორედ დღეს უნდა წაეკითხა. ერთი კვირის წინ დარეკა კიდეც ინსტიტუტში — თავს კარგად ვგრძნობ და ლექციის წაკითხვას შევძლებო, მაგრამ გულმა უმტყუნა...

წარმოუდგენელია, რომ საყვარელი ლექტორის დინჯი და დამაჯერებელი ხმა, რომელიც ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე ესმოდათ სტუდენტებს, სამუდამოდ დადუმდა. მაგრამ იმედად გულისა რჩებიან ახალგაზრდა ლექტორები, რომლებიც ივლიან თავიანთი მასწავლებლის მიერ გაკვალული გზით და ფიზიკური კულტურის ისტორიას კაცურ კაცთა აღზრდის მძლავრ საშუალებად გამოიყენებენ.

სწორედ ეს იქნება მათი საქმიანი სამადლობელი დაუვიწყარი აღმზრდელის ხსოვნისადმი!

ა. ციბაძე,
დოცენტი.



# ეცნობიან ქალაქს

თბილისში სტუმრად არიან ამერიკელი კალათბურთელები, რომლებიც 6 და 7 მაისს ამხანაგურ შეხვედრებს გამართავენ ადგილობრივ გუნდებთან.

ს უ რ ა თ ზ ე: ამერიკელი სპორტსმენები ვახტანგ გორგასალის ძეგლთან.

ვ. დვალის ფოტო.

# საიუბილეო ველორბოლა

გდრ-ის დედაქალაქის მაისის სამოსელში კვლავ ჩაიხატა ემბლემა — ველოსიპედის სამი ბორბალი ბერლინის, პრაღისა და ვარშავის გერბებით. 5 მაისს, 20 საათზე ადგილობრივი დროით, აქ სტარტი აიღო მშვიდობის საიუბილეო, XXV ველორბოლამ.

„ბეროლინის" ცისფერი სასტუმრო, კარლ მარქსის ხეივნის მახლობლად, ამ დღეებში რბოლის რეზიდენციად იქცა. აქ 17 ქვეყნის 102 ველოსიპედისტი დაბინავდა. ამავე სასტუმროში ცხოვრობს მწვრთნელების, ჟურნალისტების, ექიმების, მასაჟისტების, მექანიკოსების არმია. აქედან ორი ნაბიჯია „ალექსანდერპლაცის" მოედნამდე, სადაც სტარტი მოეწყო. სხვათა შორის, ამ სტარტამდე ნახევარი საათით ადრე „ალექსზე" დამთავრდა ტრადიციული „მშვიდობის პატარა ველორბოლა", რომელშიც გდრ-ის ნორჩი ველოსიპედისტები მონაწილეობდნენ.

... ბერლინში პირველნი ჩამოვიდნენ სპორტსმენები, რომელთაც ყველაზე შორი გზა ჰქონდათ გამოსავლელი. მათმა ხელმძღვანელმა, კუბის ველოსპორტის ფედერაციის მდივანმა რინალდო პასეირომ თავისი აზრი მოკლედ გამოთქვა: „ჩვენი იმედია ალდო არენსიბია და თბილი ამინდი". კარგი ამინდის ნატვრა გასაგებია, მაგრამ არენსიბია ვინ უნდა იყოს? საუბარში ჩაერია საბჭოთა მწვრთნელი ვ. ბოჩინი, რომელიც კუბის გუნდთან მუშაობს: „ალდო 22 წლისაა. სოფლის მეურნეობის მუშაკია. შარშან მესამე ადგილი დაიკავა მექსიკის ტურში, მოიგო კუბის რბოლა, კარგად გამოვიდა ალჟირის ველოტურში".

3 მაისს საღამოს „ბეროლინში" საბჭოთა ველოსიპედისტებიც გამოჩნდნენ. ისინი გდრ-ში საფრანგეთიდან ჩამოვიდნენ, სადაც „ტურ დე ლიმუზენის" გუნდური შეჯიბრება მოიგეს, ხოლო პირად ჩათვლაში ი. დმიტრიევმა ყველას აჯობა. მწვრთნელმა ვ. ბრაუდემ დაასახელა საბჭოთა ექვსეული: ი. დმიტრიევი („ტრუდი", მოსკოვი), ნ. გორელოვი („დინამო", მოსკოვის ოლქი), არმიელები — ი. მოხკალიოვი, ვ. ბელოუსოვი (ორივე — კიშინიოვი), ვ. ნელიუბინი (ლენინგრადი) და ა. გუსიატნიკოვი (კუიბიშევი).

ბერლინში ჩამოფრინდა პოლონეთის ძლიერი გუნდი, რომელსაც მშვიდობის ორ ბოლო ველორბოლაში გამარჯვებული რ. შურკოვსკი მეთაურობს. საბოლოოდ ჩამოყალიბდა გდრ-ის ნაკრებიც. მწვრთნელ ბ. ბარლებენს პირველ ნომრებად მიაჩნია ორი ახალბედა, ორი მიხაელი — ბილდე და შიფნერი. ძლიერია საფრანგეთის გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც გამოდიან მსოფლიო ჩემპიონი რ. ოვიონი და 1970 წლის მშვიდობის ველორბოლის მეორე პრიზიორი მ.-ა. დიუშემენი. ბრაუდეს აზრით, საბჭოთა სპორტსმენთა მთავარი მეტოქენი იქნებიან ეს გუნდები, აგრეთვე, ჩეხოსლოვაკიის, ბელგიისა და ჰოლანდიის ველოსიპედისტები.

ამჟამინდელი რბოლის ტრასა 14 ეტაპადაა დაყოფილი და 2004 კილომეტრს შეადგენს. დაყოფილი სტარტით შეჯიბრების ისტორიაში მრბოლელები პირველად იწყებენ ასპარეზობას 9 კმ-ზე. 12 მაისს მათ პრაღა შეხვდება, 20 მაისს — ვარშავა. ველოსიპედისტებს უმასპინძლებენ ნაუმბურგში, ერფურტში, გერეში (გდრ), კარლოვი ვარში, გრადეც-კრალოვეში, გოტვალდოვში (ჩეხოსლოვაკია), კრაკოვში, ლიუბლინში (პოლონეთი).

სპორტსმენები ორჯერ დაისვენებენ — 10 მაისს გერეში (გდრ) და 16 მაისს — ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ტრინეცში.

შეჯიბრების ორგანიზატორები წლევანდელ რბოლაში ჩათვლის უწინდელ სისტემას დაუბრუნდნენ. ნაკრებში კვლავ ექვს ველოსიპედისტს აქვს სტარტის აღების უფლება და გუნდურ ჩათვლაში ყოველ ეტაპზე სამი საუკეთესო შედეგები შევა.

საბჭოთა სპორტსმენები 1954 წლიდან მონაწილეობენ მშვიდობის ველორბოლაში, რომელსაც გაზეთების „ტრიბუნა ლიუდუს" (ვარშავა), „ნოიეს დოიჩლანდის" (ბერლინი) და „რუდე პრავოს" (პრაღა) რედაქციები აწყობენ. მას შემდეგ სსრ კავშირის გუნდმა რვაჯერ გაიმარჯვა. პირად ჩათვლაში რბოლის ლაურეატები იყვნენ ლენინგრადელი ი. მელეხოვი (1961 წ.), სოჭელი გ. საიდხუჟინი (1962 წ.) და დუშანბელი გ. ლებედევი (1965 წ.).

ა. გრიგორიევი.
(საკდესის კორ.).

ბერლინი.

# დისციპლინას — მთავარი ყურადღება!

თბილისში, „შრომითი რეზერვების" სტადიონზე, გრძელდება საქართველოს ჩემპიონატი რეგბიში. გამარჯვებისთვის ბრძოლაში ჩაებნენ მხოლოდ თბილისის „ლოკომოტივი", „დინამო", „სპარტაკი", „ელმავალი", „სინათლე", უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდები, აგრეთვე, ქუთაისის „ლოკომოტივი". ეს მოწმობს, რომ რესპუბლიკის სხვა ქალაქებში (რაიონებზე აღარას ვამბობთ) ამ ნამდვილად ვაჟკაცურმა სახეობამ ფეხი ჯერ კიდევ ვერ მოიკიდა, რაშიც პირველ ყოვლისა ადგილობრივ ფიზკულტურის კომიტეტებსა და სპორტსაზოგადოებათა საბჭოებს მიუძღვით ბრალი.

საკავშირო სარბიელზე საქართველოს კარგა ხანია ორი გუნდი გამოჰყავს — „ლოკომოტივი" და „დინამო". რეგბის ჩვენში კარგი პერსპექტივა აქვს, მაგრამ მისი მასობრივად განვითარებისთვის, რესპუბლიკის წამყვანი გუნდების რეზერვის აღზრდისთვის, ყველგან სათანადოდ როდი ზრუნავენ. ის კი არა, თანამედროვე წვრთნისთვის საჭირო პირობები უკვე მოქმედ გუნდებსაც არა აქვთ.

რესპუბლიკური პირველობის განვლილმა ტურებმა ცხადყო, რომ ამ სახეობის სათანადო დონეზე დაყენებით თბილისის ფედერაციის მხოლოდ რამდენიმე წევრია დაინტერესებული, მაგრამ მათ არცა აქვთ შესაძლებლობა, რომ დედაქალაქის ყველა გუნდის მუშაობას ჩასწვდნენ. სპორტსაზოგადოებათა საბჭოები ძირითადად გუნდების ფორმითა და ინვენტარით მომარაგებისთვის ზრუნავენ, კოლექტივებში დისციპლინის განმტკიცებაზე კი არავის უფიქრია. ალბათ ამიტომაც იყო, რომ ჩემპიონატის ორი დღის მანძილზე მინდვრიდან ოთხი მოთამაშე გააძევეს, ბევრ რეგბისტს გაფრთხილება მიეცა. მინდვრიდან გაძევებულებს შემდეგ მატჩში მონაწილეობა ეკრძალებათ.

სათამაშო დისციპლინის დარღვევის, მინდორზე უხეშობის (რაც თითქმის ხულიგნობად იქცა) მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა „ლოკომოტივისა" და „სპარტაკის" გუშინწინდელი მატჩი. დასამალი როდია, რომ არბიტრები წესრიგის დამრღვევთ მაინცდამაინც მკაცრად არ ეკიდებიან, ხშირად თვითონაც ცდებიან, პრინციპულობა აკლიათ, ეს კი უდისციპლინო სპორტსმენებს ხელს აძლევს.

თბილისში უკვე ბევრია რეგბის კარგი მცოდნე, ვეტერანი, ერთ დროს კარგი მოთამაშე. საქალაქო ფედერაციის მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმმა ამ ვეტერანებთან სემინარები უნდა გამართოს და სამსაჯო პრაქტიკაში ჩააბას ისინი. მაშინ ტურნირების მომსახურებაც გაიოლდება.

ახლა ორიოდე სიტყვა ჩემპიონატის ტექნიკურ მხარეზე. მონაწილენი ორ ქვეჯგუფად დაიყვნენ. პირველ ქვეჯგუფში თამაშობენ „დინამო", „ელმავალი", „სინათლე" და ქუთაისის „ლოკომოტივი". სხვებმა მეორე ქვეჯგუფი შექმნეს. ქვეჯგუფებში თამაშები ერთ წრედ ტარდება. I-II ადგილებზე გასული კოლექტივები ქმნიან ფინალურ ჯგუფს, სადაც I-IV ადგილები გათამაშდება. ერთი ჯგუფის კოლექტივებს წინასწარ ტურნირში ერთმანეთთან შეხვედრებში მოპოვებული შედეგები ეთვლებათ.

ტურნირის დაძაბულობა იმანაც განაპირობა, რომ ამ ჩემპიონატის მიხედვით შერჩეული რესპუბლიკის მესამე გუნდი წლეულს საკავშირო ზონალურ ტურნირში გამოვა (როგორც ცნობილია, თბილისის „ლოკომოტივი" სსრ კავშირის პირველობის I ლიგაში თამაშობს, თბილისის „დინამო" — II ლიგაში).

ჩემპიონატის პირველ დღეს „დინამომ" პირდაპირ გაანადგურა „სინათლე" — 78:3. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლებთან მოულოდნელად დიდი ანგარიშით წააგო რესპუბლიკის ერთ-ერთმა ძლიერმა გუნდმა „სპარტაკმა" (0:25), რომელმაც მეტოქის ძალები სათანადოდ არ შეაფასა და დაისაჯა კიდეც. თბილისის „ლოკომოტივმა" მოუგო უნივერსიტეტის კოლექტივს — 70:13, ქუთაისის „ლოკომოტივმა" კი „ელმავალს" — 32:8.

მეორე ტურში დაძაბული გამოდგა უნივერსიტეტისა და მომავალ ინჟინერთა გუნდების შეხვედრა, რომელმაც გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 19:19. „ელმავალმა" სძლია „სინათლეს" — 23:3, თბილისის „ლოკომოტივმა" — „სპარტაკს" — 32:6. „დინამომ" მოუგო ქუთაისელ რეგბისტებს — 36:13.

უჩვეულო ანგარიშები იმის შედეგიცაა, რომ ტურნირი ახალი სისტემით ტარდება: თამაშით გატანილი ბურთისთვის გუნდს 4 ქულა ეწერება, საჯარიმო დარტყმით გატანილისთვის — 3, ხოლო რეალიზაციის გამოყენებისთვის — 2.

განვლილი შეხვედრების მიხედვით კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ თბილისის „ლოკომოტივი" და „დინამო", რასაც ვერ ვიტყვით „სპარტაკსა" და „სინათლეზე". მაგალითად, „სინათლემ" ორ ტურში მხოლოდ 6 გოლის გატანა შეძლო (საკუთარ კარში 101 მიიღო), მაშინ, როცა „დინამოს" ბურთების ბალანსია 114:16, თბილისის „ლოკომოტივისა" — 102:19. უნდა ვივარაუდოთ, რომ ფინალში ჩემპიონობისთვის გადამწყვეტი ბრძოლა სწორედ „დინამოსა" და თბილისის „ლოკომოტივს" შორის გაჩაღდება.

ო. გელაშვილი.

## თბილისი

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლის რესპუბლიკის სახალხო არტისტ პ. კობახიძის სახელობის საჭადრაკო კლუბის წევრები ამას წინათ ჭადრაკის მიმომხილველ თ. გიორგაძეს შეხვდნენ. სტუმარმა ილაპარაკა მსოფლიო პირველობაზე ნ. გაფრინდაშვილ — ა. კუშნირისა და ბ. სპასკი — რ. ფიშერის მომავალ მატჩებზე. ერთდროული თამაშის სეანსში 12 დაფაზე გიორგაძემ ათი მოიგო, ორი კი ყაიმით დაამთავრა — ხელოვნების სახლის მუსიკალური სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ლია ფავლენიშვილთან და ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის თანამშრომელ მანანა დალაქიშვილთან.

ი. თოდრია.

… 19 45

◆ ხიროსიმა, 5 მაისი. მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ტრიუმფატორები — კენიის მორბენლები გულდაგულ ემზადებიან მიუნხენის ოლიმპიადისთვის. ამიტომ მათ სიამოვნებით მიიღეს იაპონიის მძლეოსნობის ასოციაციის მოწვევა და ხიროსიმაში იასპარეზეს. 3 ათას მეტრზე წინაღობებით რბენაში, სადაც, გამარჯვებისთვის ბ. ჯიპჩო და 1500 მეტრზე რბენაში ოლიმპიური ჩემპიონი კ. კეინო იბრძოდნენ, აფრიკის რეკორდი იშვა. იგი ჯიპჩომ დაამყარა — 8.28,8 (ეს შედეგი 0,8 წამით სჯობს 1970 წელს ჯიპჩოს მიერვე დამყარებულ რეკორდს და საუკეთესოა წლეულს მსოფლიოში). დაუღალავმა ჯიპჩომ შემდეგ კვლავ გაახარა 20 ათასი მაყურებელი, როცა კარგი შედეგით მოიგო 5 კილომეტრზე რბენაც — 13.48,2.



აპრილის დამლევს კატოვიცეში დამთავრდა „კლასიკოსთა" ევროპული ტურნირი. ამ ასპარეზობას წინ უსწრებდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა იმავე რანგის შეჯიბრება, რომელშიც წარმატებით გამოვიდა 25 წლის კიეველი არმიელი ი. კულეშოვი. 146 მონაწილეს შორის მან პირველმა მოიხვეჭა კონტინენტის ჩემპიონის ოქროს მედალი.

ტურნირის ბოლო დღეს კულეშოვს ორი ბრძოლის ჩატარება მოუხდა. მან ჯერ უნგრელი ლ. კლინგი დაამარცხა, მერე კი პოლონელი ზ. ჟედიცკი. ფინალში კულეშოვს არ უჭიდავია — იგი მაყურებლებში იჯდა და გულმოდგინედ ადევნებდა თვალს ფინალისტთა ბრძოლას ვერცხლის მედლისთვის.

ს უ რ ა თ ზ ე: ი. კულეშოვისა (მარცხნივ) და ზ. ჟედიცკის შეხვედრის მომენტი.

საკდესის ტელეფოტო.

რედაქტორი მ. ბაქაბაძე.

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 6 მაისი. ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — „ისანი" (თბილისი). დასაწყისი 12 ს. „სინათლის" სტადიონი. „სინათლე" (თბილისი) — „ეგრისი" (ცხაკაია). 17 ს. ვარკეთილის სტადიონი. „ვარკეთილი" (გარდაბანი) — „დინამო" (ზუგდიდი). 17 ს. მოზარდთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. 7 მაისი. „დინამოს" ბაზა დიღომში. „დინამო" (თბილისი) — მწვრთნელთა სკოლა (თბილისი). 17 ს. „ლოკომოტივის" ბაზა დიღომში. ახალგ. საფეხბ. სკოლა (თბილისი) — „განთიადი" (თბილისი). 17 ს. გლდანის სტადიონი. „ავაზა" (თბილისი) — ახალგ. საფეხბ. სკოლა (თელავი). 17 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

УЭ 02580